აღმზრდელის სამუშაო აღწერილობა

პოზიციის დასახელება – აღმზრდელი

ორგანიზაცია – ააიპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება

კატეგორია – განათლება/სწავლება

სამსახურის ადგილმდებარეობა – წესის საბავშვო ბაღი

ადგილების რაოდენობა – 1

სამუშაოს ტიპი – სრული სამუშაო განაკვეთი

ფუნქციები

ექვემდებარება სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორს, ბაღის ხელმძღვანელს, მეთოდისტს.

ითვალისწინებს განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს, პრაქტიკაში ნერგავს ტრენინგით მიღებულ ცოდნას.

ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით წარმართავს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესს.

იცავს ბალანსს აღსაზრდელებთან ურთიერთობაში.

თანამშრომლობს აღსაზრდელების მშობლებთან.

ვალდებულია დაიცვას ბავშვის უსაფრთხოებისათვის საჭირო წესები.

თითოეულ აღსაზრდელთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მის პიროვნულ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ და ენობრივ თავისებურებებს. ყოველდღიურ პრაქტიკაში იცავს თანასწორუფლებიანობას და სამართლიანობის პრინციპებს.

იცავს კონფიდენციალურობას აღსაზრდელსა და მისი ოჯახის შესახებ.

მინიმალური განათლება

უმაღლესი განათლება – ბაკალავრი

ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.

დამატებთი მოთხოვნები

- ანალიზის უნარი
- კომუნიკაბელურობა
- მიზანდასახულობა
- გუნდური მუშაობის უნარი
- შედეგზე ორიენტირებულობა

საკანონმდებლო აქტების ცოდნა

საქართველოს კონსტიტუცია (1, 2 თავი)

საქართველოს კანონი– „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

საქართველოს მთავრობის N 437 დადგენილება –„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე.“

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 22 დადგენილება –„ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ.“

გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია.

სამუშაო გრაფიკი/განაკვეთი

განაკვეთი: სრული

სამუშაო საათები: 09:00 – 18:00

შესვენება: 13:00–14:00

საბუთები მიიღება – ქ. ამბროლაური, ვანო კობახიძის ქN 7

საკონტაქტო ტელეფონი – 551 16 17 22

საკონტაქტო პირი – ფიქრია სირაძე